თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

საინფორმაციო ფურცელი

სს „თიბისი ბანკის“ სესხზე მიბმული სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევა

TBCLI/001/21

გამარჯობა

თქვენ ეცნობით სს "თიბისი ბანკის" სესხზე მიბმული სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

მზღვეველი ორგანიზაციაა: სს "თიბისი დაზღვევა" (ს/კ 405042804)
ანაზღაურების მიმღები (მოსარგებლე) ორგანიზაციაა: სს "თიბისი ბანკი"
მზღვეველის მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N 24ბ
მზღვეველის ცხელი ხაზი / ტელეფონი: (+995 32) 242 22 22

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს სს "თიბისი ბანკის" სესხზე მიბმული სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევის პირობების შესახებ მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი "პოლისი", რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებსა და ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. თქვენ მიერ დაზღვევის შეძენა გულისხმობს, რომ დაეთანხმეთ საიტზე განთავსებულ და პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს # TBCLI/001/21.

დაზღვეული რისკები

დაზღვეულის ბუნებრივი (მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების / არა გარეგანი) მიზეზით გარდაცვალება, დაზღვეულის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება და უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი ქმედუუნარობა, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა და დაზღვევის პროცედურით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

რა ტერიტორიაზე ვრცელდება დაზღვევა?

სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მთელ მსოფლიოში.

ინფორმაცია თქვენი ფინანსური ხარჯების შესახებ:

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია მოსარგებლის მეშვეობით. რისკის ინდივიდუალური შეფასების პროცესში, მზღვეველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ გექნებათ დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ხარჯი. ხარჯის ოდენობა დამოკიდებულია გამოკვლევების სახეობასა და ასეთი გამოკვლევებისათვის თქვენს მიერ შერჩეულ ლაბორატორიაზე ან სამედიცინო დაწესებულებაზე.

როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

სს "თიბისი ბანკის" მიერ პოლისში მითითებული სესხის გაცემისა და დაზღვეულის მიერ პოლისის ხელმოწერისთანავე ან დაზღვეულის მიერ პოლისის ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების საშუალებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, ვებგვერდი და სხვ.) დადასტურებისთანავე.

რა არ ანაზღაურდება?

დაზღვეულის გარდაცვალების რისკის დადგომის შემთხვევაში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებისგან:

- **ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედება;**

- **დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება, თუ გარდაცვალების მომენტში დაზღვეული იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალება დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით და არ გამოიყენება ნივთიერებაზე დამოკიდებულების სამკურნალოდ, სერტიფიცირებული ექიმის მიერ;**
- **თვითმკვლელობა და თვითდაზიანება;**
- **საქართველოს (ან გარდაცვალების ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში დაზღვეულის მონაწილეობა;**
- **ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში დაზღვეულის ნებაყოფლობითი მონაწილეობა;**
- **დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი გახდა წინამდებარე დაზღვევით პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული პირის განზრახ ქმედება;**
- **დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობა, მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ფსიქიკურად დაავადდნენ იმ სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელზეც არის მიბმული წინამდებარე პირობებით რეგულირებადი სიცოცხლის დაზღვევა;**
- **დაზღვეულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის საჭიროებს მუდმივ მოვლას (დახმარებას ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად), მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ აღნიშნულ მდგომარეობაში ამ სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელზეც არის მიბმული წინამდებარე პირობებით რეგულირებადი სიცოცხლის დაზღვევა;**
- **დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, პარაშუტით ხტომა, ავტო და მოტო რბოლა, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში მოგზაურობა, მთაში ველოსიპედებით მოგზაურობა, ექსტრემალური სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები და სხვა;**
- **მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიაქტიული დაბინძურება, ბირთვული გამოსხივება;**
- **ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მზღვეველის მიერ ზარალის შესაფასებლად აუცილებელი საბუთების სრულყოფილად წარმოუდგენლობა;**
- **თუ დაზღვევის პროცესში დამზღვევის/დაზღვეულის მიერ არასწორად იქნა ინფორმაცია მოწოდებული დაზღვეულის შესახებ, რასაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონოდა რისკის შეფასებისას;**
- **საავიაციო რისკები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული წარმოადგენს რეგულარული ან ჩარტერული ავიარეისის მგზავრს;**
- **ავტომობილის მართვა შესაბამისი მართვის მოწმობის გარეშე;**
- **სამედიცინო დანიშნულების არაგონივრული უარყოფა;**
- **თუ გარდაცვალების შესახებ სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ გარდაცვალების მიზეზი უცნობია, მზღვეველი უფლებას იტოვებს აანაზღაუროს ზარალი არაუმეტეს 50,000 ლარის ოდენობისა.**

უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუუნარობის რისკის დადგომის შემთხვევაში, დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებისგან:

- **დაზღვეული გადაადგილდება საჰაერო ხომალდით (რეაქტიული ძრავით ან ძრავის გარეშე), პლანერით, კოსმოსური ხომალდით ან პარაშუტის მეშვეობით;**
- **დაზღვეული მართავს საჰაერო ხომალდს ან წარმოადგენს საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრს;**
- **თვითმკვლელობის მცდელობა ან განზრახ თვითდაზიანება;**
- **თუ დაზღვეული იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალება დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით და არ გამოიყენება ნივთიერებაზე დამოკიდებულების სამკურნალოდ, სერტიფიცირებული ექიმის მიერ;**
- **დაზღვეულის ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების უმაღლესი სიჩქარის გამოცდაში მონაწილეობა მძღოლის, შტურმანის ან მგზავრის სტატუსით;**
- **საქართველოს (ან გარდაცვალების ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში დაზღვეულის მონაწილეობა;**
- **ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში დაზღვეულის ნებაყოფლობითი მონაწილეობა;**
- **დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი გახდა წინამდებარე დაზღვევით პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული პირის განზრახ ქმედება;**
- **დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, პარაშუტით ხტომა, ავტო და მოტო რბოლა, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში მოგზაურობა, მთაში ველოსიპედებით მოგზაურობა, ექსტრემალური სპორტის სახეობები წყალზე, ექსტრემალური სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები და სხვა;**
- **მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიაქტიული დაბინძურება, ბირთვული ენერგია, რადიაცია ან მათი შედეგებით გამოწვეული უბედური შემთხვევა;**
- **დაზღვეულის მიერ არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის კურსის ან თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება;**
- **უბედურ შემთხვევას, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი ორგანოების მიერ შეუმოწმებელი საკვებით ინტოქსიკაციით;**
- **უბედური შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია მალთაშუა დაზიანებით, შინაგანი ორგანოებიდან სისხლდენით ან/და ტვინში სისხლის ჩაქცევით;**
- **ფსიქიკური რეაქციით გამოწვეული პათოლოგიური მოშლილობა, განურჩევლად ფსიქიკური რეაქციის გამომწვევი მიზეზისა;**
- **ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მზღვეველის მიერ ზარალის შესაფასებლად აუცილებელი საბუთების სრულყოფილად წარმოუდგენლობა.**

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და

შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

სადაზღვევო შემთხვევისას

დაზღვეულის წარმომადგენელი (დაზღვეულის მემკვიდრე) ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მზღვეველს მოსარგებლის მეშვეობით.

მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მოსარგებლის მხრიდან მიღების შემდეგ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს დაზღვეულის წარმომადგენელთან დაკავშირება და შემდეგი საბუთების გამოთხოვა:

- დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
- სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი (ფორმა №IV-106/ს-4);
- დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაციის-(ფორმა №IV-100/ა, ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი;
- დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუუნარობის დადგომის შემთხვევაში სასამართლოს ან შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება პირის ქმედუუნაროდ ცნობის თაობაზე (აღნიშნული საბუთის წარმოდგენა დამზღვევის მიერ აუცილებლობას წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად განსაზღვრისათვის აუცილებლად ჩათვლის მის მოთხოვნას) და შესაბამისი სამედიცინო დასკვნა;
- სასესხო ხელშეკრულების ასლი;
- დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი.

კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში - ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს სს "თიბისი ბანკზე" წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს იტყვის ანაზღაურებაზე.

უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუუნარობის დადგომის შემთხვევაში (რომელიც დადგინდება უბედური შემთხვევის დადგომიდან 6 (ექვსი) თვის გასვლის შემდეგ), სს „თიბისი ბანკის“ სესხზე მიბმული სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს სს "თიბისი ბანკზე" წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს იტყვის ანაზღაურებაზე.

სადაზღვევო ანაზღაურება

თანხის ოდენობა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს (სს “თიბისი ბანკი”) სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნის (წერილობითი ფორმით) წარდგენის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებლეზე ყოველთვის გაიცემა (უნაღდო ანგარიშსწორების გზით) სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ეროვნულ ვალუტაში, ანაზღაურების გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ასანაზღაურებელი თანხის ლიმიტი და დაზღვევის პროცედურა

მაქსიმალური სადაზღვევო თანხა - ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის კონკრეტული მსესხებლისთვის/თანამსესხებლისთვის (დაზღვეულისთვის) გათვალისწინებული სადაზღვევო თანხების ჯამი, რომელიც შეადგენს 500,000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად). სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი არ აანაზღაურებს მაქსიმალურ სადაზღვევო თანხაზე მეტ თანხას, მიუხედავად ამ მომენტისთვის მსესხებლის/თანამსესხებლის მიმდინარე დარჩენილი საკრედიტო დავალიანებისა (სესხების ძირითადი თანხების ჯამი);

იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემის მომენტში მსესხებელი/თანამსესხებელი განეკუთვნება 18-დან 65 წლის ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად მოსარგებლის მიმართ მსესხებელის/თანამსესხებელის სრული სასესხო ვალდებულებების იმ ნაწილის ჯამი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველის მიერ დაზღვეულია მსესხებლის/თანამსესხებლის სიცოცხლე ნაკლებია ან შეადგენს 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად), მზღვეველის მიერ მსესხებლის/თანამსესხებლის დაზღვევა ხორციელდება დაზღვევის პირობებით #TBCLI/001/21 გათვალისწინებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებელი დამატებითი პროცედურების გავლის გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ, სესხის გაცემის მომენტში მსესხებელი/თანამსესხებელი განეკუთვნება 18-დან 65 წლის ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად მოსარგებლის მიმართ მსესხებელის/თანამსესხებელის სრული სასესხო ვალდებულებების იმ ნაწილის ჯამი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველის მიერ დაზღვეულია მსესხებლის/თანამსესხებლის სიცოცხლე აღემატება 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად), მზღვეველის მიერ მსესხებლის/თანამსესხებლის დაზღვევა ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით: მსესხებელი/თანამსესხებელი, იღებს ვალდებულებას წარუდგინოს მზღვეველს მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ შევსებული ჯანმრთელობის განაცხადი მოსარგებლის მეშვეობით. შევსებული განაცხადის საფუძველზე, მზღვეველის მიერ ხორციელდება რისკის ინდივიდუალური შეფასება და პრემიის/პირობების განსაზღვრა. მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ აღნიშნული განაცხადის შევსებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში ან თუ ვერ ხერხდება რისკის სამედიცინო შეფასება, მსესხებელი/თანამსესხებელი ითვლება დაზღვეულად ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად:

სადაზღვევო რისკები და ანაზღაურების ლიმიტები:

- **გარდაცვალება ბუნებრივი მიზეზით:**

იფარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემის მომენტში მსესხებლის/თანამსესხებლის ასაკი არ აღემატება 65 წელს, ანაზღაურებას ექვემდებარება არაუმეტეს 200,000.00 (ორასი ათასი) აშშ დოლარისა ან მისი ექვივალენტისა ლარში ან ევროში, სესხის ვალუტის შესაბამისად. აღნიშნული რისკი იფარება მსესხებლის/თანამსესხებლის 70 წლის ასაკის ჩათვლით.

- **გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად:**

იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემის მომენტში მსესხებლის/თანამსესხებლის ასაკი არ აღემატება 65 წელს ანაზღაურებას ექვემდებარება არაუმეტეს 500,000.00 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარისა ან მის ექვივალენტისა ლარში ან ევროში, სესხის ვალუტის შესაბამისად. აღნიშნული რისკი იფარება მსესხებლის/თანამსესხებლის 75 წლის ასაკის ჩათვლით, რის შემდეგაც დაზღვევა ითვლება გაუქმებულად.

იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემის მომენტში მსესხებლის/თანამსესხებლის ასაკი აღემატება 65 წელს ანაზღაურებას ექვემდებარება არაუმეტეს 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარისა ან მის ექვივალენტისა ლარში ან ევროში, სესხის ვალუტის შესაბამისად. აღნიშნული რისკი იფარება მსესხებლის/თანამსესხებლის 75 წლის ასაკის ჩათვლით, რის შემდეგაც დაზღვევა ითვლება გაუქმებულად.

- **სრული მუდმივი ქმედუუნარობა უბედური შემთხვევის შედეგად:**

თუ მსესხებლის/თანამსესხებლის ასაკი სესხის გაცემის მომენტში არის 18-55 წწ, ანაზღაურებას ექვემდებარება არაუმეტეს 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარისა ან მისი ექვივალენტისა ლარში ან ევროში, სესხის ვალუტის შესაბამისად. აღნიშნული რისკი იფარება მსესხებლის/თანამსესხებლის 65 წლის ასაკის ჩათვლით.

თუ მსესხებლის/თანამსესხებლის ასაკი სესხის გაცემის მომენტში არის 56-65 წელი, ანაზღაურებას ექვემდებარება არაუმეტეს 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარისა ან მის ექვივალენტისა ლარში ან ევროში, სესხის ვალუტის შესაბამისად. აღნიშნული რისკი იფარება მსესხებლის/თანამსესხებლის 65 წლის ასაკის ჩათვლით.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

თუ მოსარგებლის მიმართ დამზღვევის/დაზღვეულის არსებული სრული სასესხო ვალდებულებების იმ ნაწილის ჯამი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველის მიერ დაზღვეულია მსესხებლის/თანამსესხებლის სიცოცხლე, არ აღემატება ამ პოლისით დადგენილი შესაბამისი სადაზღვევო რისკისათვის დადგენილ ანაზღაურების ლიმიტს, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სრული სადაზღვევო თანხის ოდენობით.

თუ მოსარგებლის მიმართ დამზღვევის/დაზღვეულის არსებული სრული სასესხო ვალდებულებების იმ ნაწილის ჯამი, რომლის ფარგლებშიც

მზღვეველის მიერ დაზღვეულია მსესხებლის/თანამსესხებლის სიცოცხლე, აღემატება ამ პოლისით დადგენილი შესაბამისი სადაზღვევო რისკისათვის დადგენილ ანაზღაურების ლიმიტს, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას არაუმეტეს შესაბამისი ანაზღაურების ლიმიტით დადგენილი თანხის ოდენობით.

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!